ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №335363

ნომერი: AR174284

თარიღი : 17.08.2012

გაცემის თარიღი : 05.09.2012

გაცნობის თარიღი : 07.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელინა გურიელი პ/ნ 01011005721
- თბილისი ს.ჭრელაშვილის ქ. N 3 ბ. 16-17

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ელინა გურიელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011005721

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: აკაკი ზერეკიძე

საფუძველი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო ნომერი 882011605181, 13.12.2011; საკადასტრო კოდი 01.15.05.010.002.01.522);

– მოქ. რადმილა იგნატიადუს მინდობილობა მოქ. ელინა გურიელის სახელზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. №16–ში (უძრავი ძეგლი), არსებული კომერციული დანიშნულების ობიექტის ფასადზე გამომავალი კარის, შედარებით მცირე ზომის კარით შეცვლის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 14 სექტემბრიდან 2012 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.